



საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ  
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიები

2024

## ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება: ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიები

უმაღლესი განათლების საფეხური: პირველი საფეხური (ბაკალავრიატი)

კვალიფიკაციის დონე: დონე 6

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მენეჯმენტის ბაკალავრი / Bachelor of Management

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება /  
Management and Administration

სწავლების ენა: ქართული

სწავლის ხანგრძლივობა: 3 აკადემიური წელი / 6 სემესტრი

პროგრამის მოცულობა: 180 კრედიტი /4500 ასტრონომიული საათი

პროგრამის ხელმძღვანელი: ერეკლე ზარანდია, ასოცირებული პროფესორი

## პროგრამის აღწერა

ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა შექმნილია იმისთვის, რომ სტუდენტები უზრუნველყოს როგორც ბიზნესის მართვის პრინციპების, ასევე უახლესი ციფრული ტექნოლოგიების ყოვლისმომცველი გაგებით. ამ ინტერდისციპლინარული პროგრამის კურსდამთავრებულები მომზადდებიან წარმატების მისაღწევად დღევანდელ ციფრულ ეკონომიკაში მენეჯმენტის, ბიზნესის ადმინისტრირებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ელემენტების გაერთიანებით.

ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა შედგენილია დარგში არსებული თანამედროვე გამოწვევებისა და ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. ბიზნესის მართვის პრინციპების, თანამედროვე მართვის ინსტრუმენტებისა და გადაწყვეტილებების მიღების მეთოდოლოგიის ცოდნა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალებისთვის.

ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები მიიღებენ ფართო ცოდნას ბიზნესის მართვის პრინციპებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ, თუ როგორ იკვეთება ბიზნესი და ტექნოლოგიები. ამ საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტებს მიაწოდოს თანამედროვე ცოდნა და საჭირო უნარები ბიზნესის მართვის, მენეჯმენტისა და ტექნოლოგიების სფეროში.

## პროგრამის მიზნები

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ბიზნესის მენეჯმენტის და ციფრული ტექნოლოგიების პროგრამის მიზნებია:

1. შეასწავლოს ბიზნეს მენეჯმენტის სფეროში ინოვაციური და თანამედროვე ტენდენციები, თეორიები, ცნებები, მიდგომები, მეთოდები და ის ეთიკური ნორმები რომელიც ეფექტიანად მართვისათვისაა საჭირო;
2. ჩამოყალიბოს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით შესაბამისი ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს თანხლები პროცესების, მონაცემების შეგროვებისა და შესწავლის საფუძველზე ბიზნესის მენეჯმენტის გამოწვევების ანალიზის და შესაბამისი ინფორმირებული გადაწყვეტილებების შემუშავების უნარი;
3. განუვითაროს ეფექტიანი მენეჯმენტისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სტრატეგიების, ოპერაციების და პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესებში მონაწილეების უნარი;
4. დაეხმაროს კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარჩვევების დახვეწაში, ხელი შეუწყოს დამოუკიდებლად მუშაობასა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულ პროფესიონალად ჩამოყალიბებაში.

## პროგრამის სწავლის შედეგები

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ბიზნესის მენეჯმენტის და ციფრული ტექნოლოგიების პროგრამის კურსდამთავრებული:

- I. აღწერს ბიზნესისა და მენეჯმენტის თანამედროვე თეორიებს, მიდგომებს, მეთოდებს და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად ორგანიზაციულ გარემოზე ზემოქმედ ელემენტებს;
- II. იცნობს ბიზნესისა და მისი მართვის ბუნებას, ბიზნესსაქმიანობის სფეროებსა და მათ გამოწვევებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე ცვალებად ბიზნეს გარემოს;
- III. აღწერს ციფრული ბიზნესის დინამიკას, თავისებურებებს, შესაძლებლობებს, შეზღუდვებს, გამოწვევებს და ბიზნესის მართვის ციფრულ ინსტრუმენტებს;
- IV. თანამედროვე ტექნოლოგიების, მოდელებისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით მონაწილეობს ორგანიზაციული რესურსების დაგეგმვის, მართვისა და კონტროლის პროცესებში;
- V. მონაწილეობს და იყენებს ინფორმაციული ტექნოლოგიებს სტრატეგიების, ოპერაციებისა და პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესებში;
- VI. იცნობს მენეჯერულ ფუნქციებს და ეთიკურ პრინციპებს რომელიც აუცილებელია მულტიკულტურულ სამუშაო გარემოში წარმატებული მართვისათვის;
- VII. ავლენს წერილობით და ზეპირ კომუნიკაციის უნარებს, იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს კომუნიკაციისას და იცავს პროცესისათვის შესაბამის ინფორმაციული უსაფრთხოების ნორმებს;
- VIII. აცნობიერებს მუდმივი სწავლისა და პროფესიული განვითარების მნიშვნელობას, თანამედროვე ტექნოლოგიების ადაპტაციისა და დინამიური ბიზნესის პრაქტიკების ჩამოყალიბების როლს კარიერის განვითარებაში;

## კომპეტენციების რუკა - პროგრამის მიზნების შესაბამისობა სწავლის შედეგებთან

სწავლის შედეგები		სწავლის შედეგების ნუმერაციის მიხედვით							
პროგრამის მიზნები		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
I	შეასწავლოს ბიზნეს მენეჯმენტის სფეროში ინოვაციური და თანამედროვე ტენდენციები, თეორიები, ცნებები, მიდგომები, მეთოდები და ის ეთიკური ნორმები რომელიც ეფექტიანად მართვისათვისაა საჭირო;	√		√			√	√	
II	ჩამოუყალიბოს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით შესაბამისი ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს თანმხლები პროცესების, მონაცემების შეგროვებისა და შესწავლის საფუძველზე ბიზნესის მენეჯმენტის გამოწვევების ანალიზის და შესაბამისი ინფორმირებული გადაწყვეტილებების შემუშავების უნარი;		√	√					√
III	განუვითაროს ეფექტიანი მენეჯმენტისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სტრატეგიების, ოპერაციების და პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესებში მონაწილეების უნარი;				√	√			
IV	დაეხმაროს კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარჩვევების დახვეწაში, ხელი შეუწყოს დამოუკიდებლად მუშაობასა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულ პროფესიონალად ჩამოყალიბებაში.						√	√	√



## პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება და სამიზნე ნიშნულები

სწავლის შედეგი	სასწავლო კურსი/კურსები	შეფასების რუბრიკა	შეფასების პერიოდი	შემფასებელი	სტუდენტთა რაოდენობა	სამიზნე ნიშნული
1.აღწერს ბიზნესისა და მენეჯმენტის თანამედროვე თეორიებს, მიდგომებს, მეთოდებს და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად ორგანიზაციულ გარემოზე ზემოქმედ ელემენტებს;	ბიზნესის საფუძვლები	სემინარზე აქტიურობა	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკა მენეჯერებისთვის 1	სემინარზე აქტიურობა	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	მენეჯმენტის საფუძვლები	სემინარზე აქტიურობა	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკა მენეჯერებისთვის 2	პროექტის პრეზენტაცია	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 80%-ს.
	ინოვაციების მენეჯმენტი და სტარტაპები	დასკვნითი გამოცდა	IV სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	ბიზნეს ეთიკა და კომუნიკაციები	სემინარზე აქტიურობა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	ბიზნესის სამართლის საფუძვლები	სემინარზე აქტიურობა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	რისკების მენეჯმენტის საფუძვლები	დასკვნითი გამოცდა	V სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.



	პრაქტიკა	აქტივობა	VI სემესტრი	კომისია	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
2. იცნობს ბიზნესისა და მისი მართვის ბუნებას, ბიზნესსაქმიანობის სფეროებსა და მათ გამოწვევებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე ცვალებად ბიზნეს გარემოს;	ბიზნესის საფუძვლები	დასკვნითი გამოცდა	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკა მენეჯერებისთვის 1	დასკვნითი გამოცდა	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	მარკეტინგი და ინტეგრირებული კომუნიკაციები	დასკვნითი გამოცდა	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	ინოვაციების მენეჯმენტი და სტარტაპები	დასკვნითი გამოცდა	IV სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკა მენეჯერებისთვის 2	დასკვნითი გამოცდა	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	ფინანსების საფუძვლები	სემინარზე აქტიურობა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	მენეჯმენტის საფუძვლები	სემინარზე აქტიურობა	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	ბიზნესის სამართლის საფუძვლები	სემინარზე აქტიურობა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	პროექტის მენეჯმენტი	დასკვნითი გამოცდა	IV სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	მიწოდების ჯაჭვი და ლოჯისტიკა	სემინარზე აქტიურობა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.

	ფინანსური აღრიცხვა	სემინარზე აქტიურობა	IV სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	IT პროექტების მენეჯმენტი	დასკვნითი გამოცდა	V სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	რისკების მენეჯმენტის საფუძვლები	სემინარზე აქტიურობა	V სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	სტრატეგიული მოდელირება და დაგეგმარება	სემინარზე აქტიურობა	VI სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	პრაქტიკა	პრაქტიკის ანგარიშის შუალედური შეფასება	VI სემესტრი	კომისია	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 80%-ს.
3. აღწერს ციფრული ბიზნესის დინამიკას, თავისებურებებს, შესაძლებლობებს, შეზღუდვებს, გამოწვევებს და ბიზნესის მართვის ციფრულ ინსტრუმენტებს;	ბიზნესის საფუძვლები	დასკვნითი გამოცდა	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკა მენეჯერებისთვის 1	პროექტის პრეზენტაცია	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 80%-ს.
	მარკეტინგი და ინტეგრირებული კომუნიკაციები	პროექტის პრეზენტაცია	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 80%-ს.
	მათემატიკა ბიზნესისთვის	დასკვნითი გამოცდა	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	გამოყენებითი სტატისტიკა	დასკვნითი გამოცდა	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	ინოვაციების მენეჯმენტი და სტარტაპები	დასკვნითი გამოცდა	IV სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.

თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკა მენეჯერებისთვის 2	სემინარზე აქტიურობა	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
ოპერაციათა მენეჯმენტის საფუძვლები	დასკვნითი გამოცდა	IV სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
ბიზნეს ეთიკა და კომუნიკაციები	სემინარზე აქტიურობა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
ფინანსების საფუძვლები	სემინარზე აქტიურობა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
ბიზნესის სამართლის საფუძვლები	სემინარზე აქტიურობა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საფუძვლები	დასკვნითი გამოცდა	V სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
პროექტის მენეჯმენტი	სემინარზე აქტიურობა	IV სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
მიწოდების ჯაჭვი და ლოჯისტიკა	დასკვნითი გამოცდა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
ფინანსური აღრიცხვა	სემინარზე აქტიურობა	IV სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
IT პროექტების მენეჯმენტი	დასკვნითი გამოცდა	V სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
რისკების მენეჯმენტის საფუძვლები	სემინარზე აქტიურობა	V სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.

	მონაცემთა ბაზების საფუძვლები	დასკვნითი გამოცდა	IV სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	ციფრული მეწარმეობა და ბიზნესის ტრანსფორმაცია	პროექტის პრეზენტაცია	V სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 80%-ს.
	დაპროგრამების საფუძვლები Python-ის ბაზაზე	დასკვნითი გამოცდა	VI სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	სტრატეგიული მოდელირება და დაგეგმარება	სემინარზე აქტიურობა	VI სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	პრაქტიკა	პრაქტიკის ანგარიშის შუალედური შეფასება	VI სემესტრი	კომისია	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 80%-ს.
4. თანამედროვე ტექნოლოგიების, მოდელებისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით მონაწილეობს ორგანიზაციული რესურსების დაგეგმვის, მართვისა და კონტროლის პროცესებში;	ბიზნეს ეთიკა და კომუნიკაციები	სემინარზე აქტიურობა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	მათემატიკა ბიზნესისთვის	დასკვნითი გამოცდა	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	გამოყენებითი სტატისტიკა	დასკვნითი გამოცდა	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	ბიზნესის საფუძვლები	სემინარზე აქტიურობა	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	ინოვაციების მენეჯმენტი და სტარტაპები	დასკვნითი გამოცდა	IV სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	ოპერაციათა მენეჯმენტის საფუძვლები	დასკვნითი გამოცდა	IV სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.

	ფინანსების საფუძვლები	დასკვნითი გამოცდა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საფუძვლები	სემინარზე აქტიურობა	V სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	პროექტის მენეჯმენტი	დასკვნითი გამოცდა	IV სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	მიწოდების ჯაჭვი და ლოჯისტიკა	სემინარზე აქტიურობა	IV სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	ფინანსური აღრიცხვა	დასკვნითი გამოცდა	IV სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	IT პროექტების მენეჯმენტი	დასკვნითი გამოცდა	V სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	ციფრული მეწარმეობა და ბიზნესის ტრანსფორმაცია	სემინარზე აქტიურობა	V სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	რისკების მენეჯმენტის საფუძვლები	სემინარზე აქტიურობა	V სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	პრაქტიკა	პრაქტიკის ანგარიშის შუალედური შეფასება	VI სემესტრი	კომისია	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 80%-ს.
5. მონაწილეობს და იყენებს ინფორმაციული ტექნოლოგიებს	ოპერაციათა მენეჯმენტის საფუძვლები	სემინარზე აქტიურობა	IV სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.

სტრატეგიების, ოპერაციებისა და პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესებში;	მარკეტინგი და ინტეგრირებული კომუნიკაციები	პროექტის პრეზენტაცია	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 80%-ს.
	მენეჯმენტის საფუძვლები	სემინარზე აქტიურობა	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	მათემატიკა ბიზნესისთვის	დასკვნითი გამოცდა	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	გამოყენებითი სტატისტიკა	დასკვნითი გამოცდა	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	ფინანსების საფუძვლები	დასკვნითი გამოცდა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საფუძვლები	დასკვნითი გამოცდა	V სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	პროექტის მენეჯმენტი	დასკვნითი გამოცდა	IV სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	მიწოდების ჯაჭვი და ლოჯისტიკა	დასკვნითი გამოცდა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	ფინანსური აღრიცხვა	დასკვნითი გამოცდა	IV სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	IT პროექტების მენეჯმენტი	დასკვნითი გამოცდა	V სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	ციფრული მეწარმეობა და ბიზნესის ტრანსფორმაცია	დასკვნითი გამოცდა	V სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.

	რისკების მენეჯმენტის საფუძვლები	სემინარზე აქტიურობა	V სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	სტრატეგიული მოდელირება და დაგეგმარება	სემინარზე აქტიურობა	V სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	პრაქტიკა	აქტივობა	VI სემესტრი	კომისია	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
6. იცნობს მენეჯერულ ფუნქციებს და ეთიკურ პრინციპებს რომელიც აუცილებელია მულტიკულტურულ სამუშაო გარემოში წარმატებული მართვისათვის;	მენეჯმენტის საფუძვლები	პროექტის პრეზენტაცია	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 80%.
	ბიზნეს ეთიკა და კომუნიკაციები	დასკვნითი გამოცდა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საფუძვლები	დასკვნითი გამოცდა	V სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	ოპერაციათა მენეჯმენტის საფუძვლები	სემინარზე აქტიურობა	IV სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	ბიზნესის სამართლის საფუძვლები	დასკვნითი გამოცდა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	პროექტის მენეჯმენტი	დასკვნითი გამოცდა	IV სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	მიწოდების ჯაჭვი და ლოჯისტიკა	სემინარზე აქტიურობა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	IT პროექტების მენეჯმენტი	სემინარზე აქტიურობა	V სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.

	პრაქტიკა	პრაქტიკის დასკვნითი გამოცდა	VI სემესტრი	კომისია	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
7. ავლენს წერილობით და ზეპირ კომუნიკაციის უნარებს, იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს კომუნიკაციისას და იცავს პროცესისათვის შესაბამის ინფორმაციული უსაფრთხოების ნორმებს;	მენეჯმენტის საფუძვლები	სემინარზე აქტიურობა	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%.
	მარკეტინგი და ინტეგრირებული კომუნიკაციები	პროექტის პრეზენტაცია	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 80%-ს.
	ბიზნესის საფუძვლები	სემინარზე აქტიურობა	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	ინოვაციების მენეჯმენტი და სტარტაპები	დასკვნითი გამოცდა	IV სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საფუძვლები	დასკვნითი გამოცდა	V სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	ბიზნეს ეთიკა და კომუნიკაციები	დასკვნითი გამოცდა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	ციფრული მეწარმეობა და ბიზნესის ტრანსფორმაცია	დასკვნითი გამოცდა	V სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	პროექტის მენეჯმენტი	დასკვნითი გამოცდა	IV სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	IT პროექტების მენეჯმენტი	სემინარზე აქტიურობა	V სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%.
	მონაცემთა ბაზების საფუძვლები	სემინარზე აქტიურობა	IV სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%.



	სტრატეგიული მოდელირება და დაგეგმარება	სემინარზე აქტიურობა	VI სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	პრაქტიკა	პრაქტიკის დასკვნითი გამოცდა	VI სემესტრი	კომისია	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
8. აცნობიერებს მუდმივი სწავლისა და პროფესიული განვითარების მნიშვნელობას, თანამედროვე ტექნოლოგიების ადაპტაციისა და დინამიური ბიზნესის პრაქტიკების ჩამოყალიბების როლს კარიერის განვითარებაში;	ბიზნეს ეთიკა და კომუნიკაციები	სემინარზე აქტიურობა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	ფინანსების საფუძვლები	დასკვნითი გამოცდა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	ბიზნესის სამართლის საფუძვლები	დასკვნითი გამოცდა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	ფინანსური აღრიცხვა	სემინარზე აქტიურობა	IV სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საფუძვლები	სემინარზე აქტიურობა	V სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%.
	სტრატეგიული მოდელირება და დაგეგმარება	სემინარზე აქტიურობა	VI სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	დაპროგრამების საფუძვლები Python-ის ბაზაზე	სემინარზე აქტიურობა	VI სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%.
	პრაქტიკა	პრაქტიკის დასკვნითი გამოცდა	VI სემესტრი	კომისია	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.

## პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

### საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებია:

ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, განთვასებულია ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

### ჩარიცხვის პირობები

ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს აღნიშნულ პროგრამაზე და და გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას სეუ-ში

### ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე

ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება, ან უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის (გარდა იმ პირებისა, რომლებიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეები არიან), რომლებმაც საქართველოში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება საქართველოს მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო პროგრამების მიხედვით;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დაადასტუროს სწავლის უფლების მოპოვების მსურველი პირების მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის ფლობა არანაკლებ B1 დონეზე.

### **მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა**

ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამაზე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან / პროგრამიდან მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა მიღება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

ბიზნეს მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამაზე მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი.

მობილობის უფლება აქვს ასევე პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი ან სტატუსშეწყვეტილ პირს, სტატუსის შეწყვეტიდან 12 თვის განმავლობაში.

პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების/თანხმობის საფუძველზე.

## სწავლების ორგანიზება

ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 3 აკადემიური წელი (6 სემესტრი) და ითვალისწინებს 180 ECTS კრედიტის დაგროვებას, რაც 4500 ასტრონომიულ საათს უტოლდება. ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს. კრედიტის გაანგარიშებისას არ არის გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო.

აკადემიური წელი შედგება ორი - შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან. თითოეული სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს საშუალოდ 30 (ECTS) კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 (ECTS) კრედიტი (1500 საათი). უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, გამოცდის/დამატებითი გამოცდის ჩატარებისა და სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პერიოდს.

სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას.

პროგრამა დასრულებულად ითვლება, როცა სტუდენტი დააგროვებს არანაკლებ 180 ECTS კრედიტს, რაც გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული სფეროს ძირითადი, არჩევითი და თავისუფალი კომპონენტის შესრულებას.

სტუდენტი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის (emis.seu.edu.ge) მეშვეობით იღებს ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მიმდინარეობასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტში ჩარიცხვისას, სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში შესასვლელ სახელსა და პაროლს. მას შეუძლია აკადემიური რეგისტრაცია გაიროს უნივერსიტეტში მოსვლის გარეშე და აქვს აკადემიური თავისუფლება, აკადემიური რეგისტრაციის დროს დარეგისტრირდეს მისთვის სასურველ სასწავლო კურსებზე მისი საგანმანათლებლო პროგრამის გათვალისწინებით, წინასწარ იქონიოს ინფორმაცია სამომავლოდ გასავლელ სასწავლო კურსებზე, ნახოს სასწავლო კურსების სილაბუსები და საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გაეცნოს თითოეული სასწავლო კურსის შეფასების სისტემას.

## სწავლება-სწავლის მეთოდები

**ლექცია** - შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობს ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს გადასაცემი მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე. ამიტომ, ის უნდა იყოს ლოგიკურად დასრულებული.

**ჯგუფური (collaborative) მუშაობის** მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**დამოუკიდებელი მუშაობა** - ლექციაზე მოსმენილი მასალა მთლიანი ცოდნის სისტემად ყალიბდება სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით. სტუდენტს უნდა აღეძრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

**ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდს** მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში ლექტორი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

**წიგნზე მუშაობის მეთოდი** დამოუკიდებლად მიცემული საკითხავი მასალის გაცნობა, დამუშავება და ანალიზი.

**წერითი მუშაობის მეთოდი** გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.

**პრაქტიკული მეთოდები** აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას.

**დისკუსია/დებატები** ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამალღებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

**პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

**თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს სასწავლო კურსის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

**შემთხვევის ანალიზი (Case study)** - შემთხვევების შესწავლა, აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების - სიტუაციების გადაჭრის გზით (ე. წ. ქეისების ამოხსნა). სწავლების ეს მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (ქეისების) განხილვაზე. ქეისი წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით, მეთოდი ეფექტიანად ავითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების შეზღუდულ დროში მიღების უნარს. სტუდენტებს უვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადოებული გადაწყვეტილებების გამომუშავების, მოქმედებების დაგეგმვისა და მათი შედეგების პროგნოზირების უნარი.

**გონებრივი იერიში (Brain storming)** მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა.
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა.
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან.
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

**როლური და სიტუაციური თამაშები** სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

**დემონსტრირების მეთოდი** ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება

შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს, როგორცაა, მაგალითად, მათემატიკური ამოცანის ამოხსნა, მისი საფეხურების დაფაზე თვალსაჩინოდ წარმოდგენის სახით, ან ისეთი რთული სახე მიიღოს, როგორცაა მრავალსაფეხურიანი საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტის ჩატარება.

**ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

**დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

**ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

**სინთეზის მეთოდი** გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

**ახსნა-განმარტებითი მეთოდი** ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. ლექტორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

**ქმედებაზე ორიენტირებული** სწავლება მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

**ვერისტიკული მეთოდი** ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

**ლაბორატორიული მეცადინეობა** უფრო თვალსაჩინოა და ამა თუ იმ მოვლენის ან პროცესის აღქმის საშუალებას იძლევა. ლაბორატორიაში სტუდენტი სწავლობს ექსპერიმენტის ჩატარებას. ლაბორატორიული მეცადინეობის დროს სტუდენტი უნდა ეუფლებოდეს მოწყობილობათა გამართვას, რეგულირებასა და მუშაობის რეჟიმის დადგენას. სასწავლო ლაბორატორიებში გამომუშავებული ჩვევები ლექციებზე მოსმენილი თეორიული მასალის გააზრების საშუალებას იძლევა.

**პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია** არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

**ელექტრონული სწავლება (E-learning)** – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:

- დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით.
- ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.
- მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას ლექტორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს.

## **შეფასების სისტემა**

სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების სისტემა ეყრდნობა კანონმდებლობით აღიარებულ სისტემას და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასებისა და კრედიტის მინიჭების სტანდარტებს.

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს:**

**ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

- ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

**ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, სპეციფიკის, აგრეთვე მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გათვალისწინებით, დაადგინოს შეფასებებისაგან განსხვავებული მინიმალური დადებითი შეფასება, რომელიც არ უნდა იყოს 51 ქულაზე ნაკლები და 60 ქულაზე მეტი.



FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა შუალედური შეფასებებით კომპეტენციის ზღვარის დაძლევა (შუალედური შეფასებით არანაკლებ 11 ქულის დაგროვება).

დასკვნით გამოცდაზე კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 30%-ს - არანაკლებ 12 ქულას.

**კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 100-დან არანაკლებ 51 ქულის დაგროვება და შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა.**

### **შეფასების კომპონენტი**

სტუდენტის შეფასება პროგრამის თითოეულ სასწავლო კომპონენტში მოიცავს შეფასების ორ ფორმას - შუალედურ შეფასებასა და დასკვნით შეფასებას.

შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რომელიც გაწერილია შესაბამისი პროგრამის სილაბუსებში და ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის სემესტრის დასაწყისში, სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში - [emis.seu.edu.ge](http://emis.seu.edu.ge).

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ სასწავლო კომპონენტში, სტუდენტის საბოლოო შეფასების განსაზღვრისათვის, შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა), შუალედური შეფასებას ეთმობა 60 ქულა, ხოლო დასკვნით შეფასებას - 40 ქულა. შუალედურ და დასკვნით შეფასებას დადგენილი აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც დგინდება შესაბამისი კომპონენტის სილაბუსით. გამონაკლისი დგინდება კონკრეტული პროგრამის/სასწავლო კომპონენტის თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

## პროგრამის ინტერნაციონალიზაცია

- Braganca University
- State University of Applied Sciences Kalisz Calisia
- UCSI University
- International University of Gorazde
- EU Business School
- Bucharest University of Economic Studies
- University of Economics and Human Sciences in Warsaw
- College of Canyons
- Transport and Telecommunication Institute
- Tomas Bata University in Zlín
- University of Foggia
- Open University of Human Development &quot;Ukraine&quot;
- Yaşar University, Izmir
- University of A Coruña
- Universitat Jaume I
- University of Jaen
- WSB University
- Romanian American University
- Kafkas University

## პარტნიორი ორგანიზაციები

- შპს დიჯიტალ მარკეტინგ ჰაუს
- შპს მარკეტინგული ღრუბელი
- შპს პარაგრაფ თბილისი სითი
- ააიპ საქართველოს ხელოვნური ინტელექტის ასოციაცია
- სს კრედო ბანკი
- სს პსპ დაზღვევა;

- შპს საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკა
- შპს ტექნიკინერინგ ჯგუფი
- შპს ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი
- women in tech
- საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტო
- სახელმწიფო აუდიტის სამსახური და საჯარო აუდიტის ინსტიტუტი
- ტერაბანკი
- შპს აითი აკადემია სტეპ
- შპს გრანტ თორნთონ
- შპს თეგეტა მოტორსი

## დასაქმების სფერო

### კურსდამთავრებულთა დასაქმების პოზიციები

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ბიზნესი მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს მენეჯმენტის საკონსულტაციო, ანალიტიკურ, საცალო ვაჭრობის, სადისტრიბუციო, ელექტრონული კომერციის სფეროს, ჯანდაცვის სფეროს, მომსახურების სფეროს და ქვეყნის ეკონომიკის სხვა სექტორებში მოქმედ მცირე, საშუალო და მსხვილ კომპანიებში. ამ კომპანიებში კურსდამთავრებულს შეუძლია სხვადასხვა დეპარტამენტებში საშუალო რგოლის მენეჯერად ან სპეციალისტად მუშაობა და შესაბამისი ფუნქციების შესრულება.

### სამუშაო დეპარტამენტებია:

- ციფრული მარკეტინგის სპეციალისტი - ციფრული პლატფორმებისა და ტექნოლოგიების გამოყენება მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავებისა და განხორციელებისთვის, სოციალური მედიის კამპანიების მართვისა და მომხმარებელთა ქცევის მონაცემების გასაანალიზებლად.
- ელექტრონული კომერციის მენეჯერი - ონლაინ გაყიდვების არხების ზედამხედველობა, მომხმარებლის გამოცდილების ოპტიმიზაცია, ინვენტარის მართვა და ციფრული მარკეტინგის სტრატეგიების დანერგვა გაყიდვებისა და შემოსავლების ზრდისთვის.

- ბიზნეს ანალიტიკოსი - მონაცემთა ანალიზი ტენდენციების, შაბლონებისა და შეხედულებების იდენტიფიცირებისთვის და რეკომენდაციების მიწოდება ბიზნეს პროცესების გასაუმჯობესებლად, მუშაობის ოპტიმიზაციისა და გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად.
- პროექტის მენეჯერი - ციფრულ ინიციატივებთან დაკავშირებული პროექტების დაგეგმვა, შესრულება და მართვა, როგორცაა პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება, ვებსაიტების გაშვება ან ციფრული ტრანსფორმაციის პროექტები, რაც უზრუნველყოფს დროული მიწოდების და დაინტერესებული მხარეების კმაყოფილებას.
- ციფრული პროდუქტის მენეჯერი - ხელმძღვანელობს ციფრული პროდუქტების ან სერვისების შემუშავებასა და მართვას, კონცეფციიდან გაშვებამდე, ბაზრის კვლევის ჩატარება, პროდუქტის მოთხოვნების განსაზღვრა და ჯვარედინი ფუნქციონალურ გუნდებთან თანამშრომლობა.
- ციფრული სტრატეგიის კონსულტანტი - კონსულტაციას უწევს ორგანიზაციებს ციფრული ტრანსფორმაციის სტრატეგიების შესახებ, ეხმარება მათ გამოიყენონ ტექნოლოგია თავიანთი ბიზნეს მიზნების მისაღწევად, ეფექტურობის გაზრდისა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებაში ციფრულ ეპოქაში.
- მონაცემთა ანალიტიკოსი/მეცნიერი - მონაცემთა შეგროვება, ანალიზი და ინტერპრეტაცია ქმედითი შეხედულებების მოსაპოვებლად, ტენდენციების პროგნოზირებისთვის და გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად, ისეთი ინსტრუმენტებისა და ტექნიკის გამოყენებით, როგორცაა მონაცემთა მოპოვება და სტატისტიკური ანალიზი.
- დამწყები მეწარმე - სტარტაპის ან ციფრული საწარმოს წამოწყება და მართვა, ბაზრის შესაძლებლობების იდენტიფიცირება, ბიზნეს მოდელების შემუშავება და ზრდის სტრატეგიების განხორციელება.
- ციფრული ტრანსფორმაციის მენეჯერი - ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება ორგანიზაციის ოპერაციების ყველა ასპექტში, მათ შორის მარკეტინგი, გაყიდვები, მომხმარებელთა მომსახურება და შიდა პროცესები, რათა გაზარდოს ეფექტურობა, ინოვაცია და კონკურენტუნარიანობა.
- საჯარო სექტორი - ეკონომიკის სამინისტრო, ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო.

## სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

## პროგრამის რესურსები

### მატერიალური რესურსი

ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის ხორციელდება თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილ კამპუსში, უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ყველა აუდიტორია აღჭურვილია სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარით. სტუდენტები ინფორმირებული არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ. ბიბლიოთეკაში განთავსებულია პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული ყველა სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების მომსახურებაზე. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ტექ და სამეწარმეო ლაბორატორია, რომელიც სტუდენტებს რეალურ ბიზნეს პროექტებთან დაკავშირების საშუალებას და სხვადასხვა პროექტების შესრულებისთვის საჭირო კონკრეტული უნარების შესასწავლად, ინდივიდუალური მენტორობის მომსახურებით სარგებლობის საშუალებას აძლევს. ლაბორატორია, საერთო იდეების მატარებელ სტუდენტებს ერთმანეთთან დაკავშირების და მათი ბიზნეს იდეების რეალობად ქცევის შანსს აძლევს. გარდა ამისა, ეწყობა კონკრეტული უნარების განმავითარებელი დარგის სპეციალისტთა მიერ ორგანიზებული ვორქშოპები და აქტივობები. ტექ და სამეწარმეო ლაბორატორია ასევე აქტიურადაა ჩართული ცალკეული კურსების პრაქტიკული ელემენტების განვითარებაში, კოორდინირებას უწევს პრაქტიკოსებისა და კომპანიების მონაწილეობას სასწავლო პროცესში.

## პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება პროგრამის ბიუჯეტით. ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების და ლიტერატურის მუდმივ განახლებაზე, სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, აკადემიური/მოწვეული პერსონალის სახელფასო დანახარჯებსა და მათი ნაშრომების გამოცემა-დაბეჭდვაზე. ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის სამეცნიერო მივლინებების ხარჯები, სტუდენტთა დაფინანსება გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო ტრენინგებსა და კონფერენციებში.

## პრაქტიკის რესურსი

პროგრამით გათვალისწინებულია სავალდებულო კომპონენტი სასწავლო პრაქტიკა. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან. პრაქტიკა არის სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი და წარმოადგენს სტუდენტის დაგეგმილ და მიზანმიმართულ საქმიანობას, აკადემიურ გარემოში მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცებასა და პრაქტიკული უნარების შექმნას. პრაქტიკის მიზანს წარმოადგენს სტუდენტების შეიარაღება პრაქტიკული უნარებით და მათი მომზადება მომავალი დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობისთვის.

ორგანიზაციებში ვიზიტის გარდა მენეჯმენტის პრაქტიკა ითვალისწინებს სტუდენტთა ჯგუფის მიერ ბიზნეს ქეისების ანალიზს და რეალურ მოცემულობაზე დაფუძნებული მმართველობითი ხასიათის გადაწყვეტილებათა მიღებას, მონაცემთა შეგროვებას, ინტერპრეტირებასა და დასაბუთებას.

პრაქტიკული კომპონენტის გარდა, უნივერსიტეტი თანამშრომლობს ათეულობით ეკონომიკურ აგენტთან, რომელთა ორგანიზაციებით თუ პარტნიორობით პერიოდულად ცხადდება სტაჟირებები, სეზონური სკოლები, მასტერკლასები, ტრენინგები და სხვა. პროფესიული პრაქტიკის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები/მემორანდუმები შემდეგ ეკონომიკურ აგენტებთან:

- შპს ეკონომიკის კვლევის და განვითარების
- ინსტიტუტი;
- შპს Global IT;
- ააიპ საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა
- სახელმწიფო აუდიტის სამსახური;
- სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია;

- სს თიბისი ბანკი;
- სს საქართველოს ბანკი;
- სს ფინკა ბანკი საქართველო;
- შპს ბი სი ეი;
- შპს ეისითი;
- შპს ჰოსტი.ჯი;
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
- შპს allmarket.ge;
- შპს ედვანსდ აუდიტ ენდ ქონსალთინგ კომპანია;
- სს ენერგო პრო ჯორჯია ჰოლდინგი;
- სს კრედო ბანკი;
- შპს დიჯიტალ მარკეტინგ ჰაუს;
- შპს ნუტრიმაქსი;

### **პროგრამის ხარისხის მონიტორინგი**

ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური/მოწვეული, ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ხდება პროგრამის მოდიფიცირება/განვითარება.

ხარისხის განვითარების დეპარტამენტი ატარებს რეგულარულ ანალიზსა და ხარისხის გაუმჯობესების სხვა აქტივობებს, რომლებიც შედეგადად შემდეგი გამოკითხვებისაგან:

- ლექტორისა და სასწავლო კურსის შეფასება სტუდენტების მიერ (სემესტრში ერთხელ);
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება სტუდენტების მიერ (მიაღწიეს თუ არა პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს) (სწავლის ბოლო წელს);
- უნივერსიტეტის ინსტიტუციური შეფასება სტუდენტების მიერ (წელიწადში ერთხელ);
- პრაქტიკის შეფასება სტუდენტების მიერ (პროექტის დასრულებისას);
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა (პროგრამის დასრულებიდან ექვსი თვის შემდეგ);
- საკონსულტაციო პროექტის თვითშეფასება (პროექტის დასრულებისას);
- დამსაქმებელთა გამოკითხვა (წელიწადში ერთხელ);
- სასწავლო კურსის თვითშეფასება (ლექტორის მიერ, სემესტრში ერთხელ);

- პროგრამის თვითშეფასება (პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, წელიწადში ერთხელ).

თითოეული გამოკითხვა გაანალიზებულია და განსაზღვრულია ტენდენციები უნივერსიტეტის მასშტაბით. ასევე, სტრუქტურული ერთეულების, ფაკულტეტების და საგანმანათლებლო პროგრამების დონეზე. გამოკითხვები და კვლევები საშუალებას იძლევა გაკეთდეს შედარებითი ანალიზი ფაკულტეტებსა და საგანმანათლებლო პროგრამებს შორის. შედარებითი ანალიზი ხორციელდება ხარისხის განვითარების დეპარტამენტის მიერ და შედეგები მიეწოდება ყველა დაინტერესებულ მხარეებს. ხარისხის განვითარების დეპარტამენტი გეგმავს ტრენინგების ორგანიზებას ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩართულ პერსონალთან და სტუდენტებთან, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს შესაძლებლობები ამ პროცესებში მათი აქტიური მონაწილეობისთვის.



ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიები ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა

სასწავლო კურსის დასახელება	ECTS	სულ საათები	დაშვების წინაპირობა	სტუდენტის სასწავლო დატვირთვა							კრედიტების სემესტრული განაწილება										
				ლექცია	სამუშაო ჯგუფში მუშაობა ან პრაქტიკული ან ლაბორატორიული	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	სულ საკონტაქტო	დამოუკიდებელი მუშაობა	I	II	III	IV	V	VI						
<b>ძირითადი სწავლების სფეროს სასწავლო კურსები</b>																					
სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები	121	შესაბამის სემესტრში ასათვისებელი სავალდებულო კრედიტების რაოდენობა									I	II	III	IV	V	VI					
												18	24	18	20	25	16				
1.	ბიზნესის საფუძვლები	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120	6										
2.	თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკა მენეჯერებისთვის 1	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120	6										
3.	მათემატიკა ბიზნესისთვის	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120	6										
4.	მარკეტინგი და ინტეგრირებული კომუნიკაციები	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120		6									
5.	მენეჯმენტის საფუძვლები	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120		6									
6.	თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკა მენეჯერებისთვის 2	6	150	თეორიული და გამოყენებითი	13	12	2	3	30	120		6									

				ეკონომიკა მენეჯერებისთვის 1												
7.	გამოყენებითი სტატისტიკა	6	150	მათემატიკა ბიზნესისთვის; თანამედროვე საოფისე პროგრამები	13	24	2	3	42	108		6				
8.	ბიზნეს ეთიკა და კომუნიკაციები	4	100	ბიზნესის საფუძვლები	13	12	2	3	30	70			4			
9.	ფინანსების საფუძვლები	5	125	არ აქვს	13	12	2	3	30	95			5			
10.	ბიზნესის სამართლის საფუძვლები	5	125	ბიზნესის საფუძვლები	13	12	2	3	30	95			5			
11.	მიწოდების ჯაჭვი და ლოჯისტიკა	4	100	მენეჯმენტის საფუძვლები	13	12	2	3	30	70			4			
12.	ინოვაციების მენეჯმენტი და სტარტაპები	4	100	ბიზნესის საფუძვლები; მენეჯმენტის საფუძვლები	13	12	2	3	30	70				4		
13.	პროექტის მენეჯმენტი	5	125	მენეჯმენტის საფუძვლები	13	24	2	3	42	83				5		
14.	ოპერაციათა მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	მენეჯმენტის საფუძვლები	13	12	2	3	30	95				5		
15.	ფინანსური აღრიცხვა	6	150	არ აქვს	13	24	2	3	42	108				6		
16.	ციფრული მეწარმეობა და ბიზნესის ტრანსფორმაცია	5	125	ინოვაციების მენეჯმენტი და სტარტაპები	13	12	2	3	30	95					5	
17.	რისკების მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	მენეჯმენტის საფუძვლები; გამოყენებითი სტატისტიკა	13	12	2	3	30	95					5	
18.	IT პროექტების მენეჯმენტი	5	125	თანამედროვე საოფისე პროგრამები;	13	12	2	3	30	95					5	

				დარგობრივი ინგლისური ენა ბიზნესისთვის												
19.	მონაცემთა ბაზების საფუძვლები	5	125	თანამედროვე საოფისე პროგრამები	14	12	2	3	31	94						5
20.	ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	მენეჯმენტის საფუძვლები	13	12	1	3	29	96						5
21.	სტრატეგიული მოდელირება და დაგეგმარება	6	150	ოპერაციათა მენეჯმენტის საფუძვლები;	13	12	2	3	30	120						6
22.	დაპროგრამების საფუძვლები Python-ის ბაზაზე	5	125	არ აქვს	13	12	2	3	30	95						5
23.	პრაქტიკა	5	125	ბიზნეს ეთიკა და კომუნიკაციები; მარკეტინგი და ინტეგრირებული კომუნიკაციები; ფინანსების საფუძვლები												5
	სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები	15		შესაბამის სემესტრში ასათვისებელი არჩევითი კრედიტების რაოდენობა							I	II	III	IV	V	VI
															5	10
1.	ელექტრონული მთავრობა	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120						
2.	კვლევის მეთოდები ბიზნესში	5	125	გამოყენებითი სტატისტიკა	13	24	2	3	42	83						
3.	მომხმარებლებთან ურთიერთობის მენეჯმენტი	5	125	არ აქვს	13	12	2	3	30	95						
4.	ლიდერობა	5	125	არ აქვს	13	12	1	3	29	96						

5.	მმართველობითი აღრიცხვა	6	150	ფინანსური აღრიცხვა	13	24	2	3	42	108						
6.	საერთაშორისო მენეჯმენტი	5	125	მენეჯმენტის საფუძვლები	13	12	2	3	30	95						
7.	ხარისხის მენეჯმენტი	4	100	მენეჯმენტის საფუძვლები	13	12	2	3	30	70						
8.	საბანკო საქმის საფუძვლები	4	100	არ აქვს	13	12	2	3	30	70						
9.	საერთაშორისო ბიზნესი და ექსპორტის მენეჯმენტი	5	125	ბიზნესის საფუძვლები	13	12	2	3	30	95						
10.	ელექტრონული კომერცია	5	125	არ აქვს	13	12	2	3	30	95						
11.	ინფორმაციული ტექნოლოგიები მენეჯმენტში	5	125	ოპერაციათა მენეჯმენტის საფუძვლები; თანამედროვე საოფისე პროგრამები	13	12	2	3	30	95						
	<b>საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები</b>	<b>12</b>	<b>შესაბამის სემესტრში ასათვისებელი სავალდებულო კრედიტების რაოდენობა</b>								<b>I</b>	<b>II</b>	<b>III</b>	<b>IV</b>	<b>V</b>	<b>VI</b>
											<b>6</b>		<b>6</b>			
1.	თანამედროვე საოფისე პროგრამები	6	125	არ აქვს	13	12	2	3	30	120	<b>6</b>					
2.	აკადემიური წერა	6	125	არ აქვს	13	12	2	3	30	120			<b>6</b>			
	<b>სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსები</b>	<b>24</b>	<b>სტუდენტს შეუძლია აირჩიოს მისთვის სასურველი უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)</b>								<b>6</b>	<b>6</b>	<b>6</b>	<b>6</b>		
1.	უცხო ენა B1/2	6	150	-	-	39	2	5	46	104	<b>6</b>					
2.	უცხო ენა B2/1	6	150	უცხო ენა B1/2	-	39	2	5	46	104		<b>6</b>				

3.	უცხო ენა B2/2	6	150	უცხო ენა B2/1	-	39	2	5	46	104			6				
4.	დარგობრივი უცხო ენა ბიზნესისთვის	6	150	უცხო ენა B2/2	-	39	2	5	46	104				6			
	საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები	<b>შესაბამის სემესტრში ასათვისებელი თავისუფალი კრედიტების რაოდენობა</b>										I	II	III	IV	V	VI
	თავისუფალი სასწავლო კურსები	8	სტუდენტს შეუძლია აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსები საინტერესო სფეროებში თვალსაწიერის გაფართოების მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედი საბაკალავრო პროგრამებიდან, სასწავლო კურსის შესწავლისათვის გათვალისწინებული შესაბამისი წინაპირობების დაცვით.												4		4
	სულ	180										30	30	30	30	30	30

## ადამიანური რესურსი

N	სასწავლო კურსი	კურსის განმახორციელებელი	სტატუსი
1.	ბიზნესის საფუძვლები	რუსუდან ბერიაშვილი	ასოცირებული პროფესორი
		ლელა ბიჭიაშვილი	ასოცირებული პროფესორი
		მადონა კანტიძე	ასისტენტ-პროფესორი
		ნინო მაზიაშვილი	მოწვეული ლექტორი
2.	თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკა მენეჯერებისთვის 1	ერეკლე ზარანდია	ასოცირებული პროფესორი
3.	მათემატიკა ბიზნესისთვის	იოსებ ფოჩხუა	ასოცირებული პროფესორი
		ლალი ქელბაქიანი	ასოცირებული პროფესორი
		თემურ ჩილაჩავა	მოწვეული ლექტორი
4.	მარკეტინგი და ინტეგრირებული კომუნიკაციები	ანა ჩხიკვაძე,	მოწვეული ლექტორი
5.	მენეჯმენტის საფუძვლები	თამარ ბიჭიკაშვილი	ასოცირებული პროფესორი
		ნაირა ღვედაშვილი	ასოცირებული პროფესორი
		მადონა კანტიძე	ასისტენტ პროფესორი
		ნაზი ჭიკაძე	მოწვეული ლექტორი
6.	თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკა მენეჯერებისთვის 2	ერეკლე ზარანდია	ასოცირებული პროფესორი
7.	გამოყენებითი სტატისტიკა	ოთარ აბესაძე	ასოცირებული პროფესორი
		ქეთევან მაჩაიძე	მოწვეული ლექტორი
8.	ბიზნეს ეთიკა და კომუნიკაციები	სერგო გელაშვილი	მოწვეული ლექტორი
9.	ფინანსების საფუძვლები	ვალერი მოსიაშვილი	პროფესორი
		ნინო სამჭკუაშვილი	ასოცირებული პროფესორი
		ნონა ქავთარაძე	ასოცირებული პროფესორი
10.	ბიზნესის სამართლის საფუძვლები	ნატო ჭითანავა	მოწვეული ლექტორი
		სალომე ჭელიძე	მოწვეული ლექტორი
11.	მიწოდების ჯაჭვი და ლოჯისტიკა	თორნიკე ებანოიძე	მოწვეული ლექტორი
		სერგო გელაშვილი	მოწვეული ლექტორი
12.	ინოვაციების მენეჯმენტი და სტარტაპები	ერეკლე ზარანდია	ასოცირებული პროფესორი
	პროექტის მენეჯმენტი	მზია კვიციანი	ასისტენტ-პროფესორი

13.		ნინო ბარქაია	მოწვეული ლექტორი
14.	ოპერაციათა მენეჯმენტის საფუძვლები	თამარ ბიჭიკაშვილი	ასოცირებული პროფესორი
		თათია ბილისიძე	ასისტენტ პროფესორი
		ლიანა აფაქიძე	მოწვეული ლექტორი
15.	ფინანსური აღრიცხვა	ნელი სესაძე	ასოცირებული პროფესორი
		ლია პიტურიშვილი	ასისტენტ-პროფესორი
		პაატა შურღია	ასოცირებული პროფესორი
16.	ციფრული მეწარმეობა და ბიზნესის ტრანსფორმაცია	თეიმურაზ კალანდია	მოწვეული ლექტორი
17.	რისკების მენეჯმენტის საფუძვლები	დავით ჩახვაშვილი	პროფესორი
		თამარ ბიჭიკაშვილი	ასოცირებული პროფესორი
18.	IT პროექტების მენეჯმენტი	ბესიკი ტაბატაძე	ასოცირებული პროფესორი
19.	მონაცემთა ბაზების საფუძვლები	გულნარა ჯანელიძე	პროფესორი
		ალექსანდრე ჩახვაძე	ასისტენტ-პროფესორი
20.	ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საფუძვლები	დავით ჩახვაშვილი	პროფესორი
		ნაირა ღვედაშვილი	ასოცირებული პროფესორი
		მეგი ბარათაშვილი	მოწვეული ლექტორი
21.	სტრატეგიული მოდელირება და დაგეგმარება	სერგო გელაშვილი	მოწვეული ლექტორი
22.	დაპროგრამების საფუძვლები Python-ის ბაზაზე	გულნარა ჯანელიძე	პროფესორი
		ბესიკი ტაბატაძე	ასოცირებული პროფესორი
23.	ელექტრონული მთავრობა	ერეკლე ზარანდია	ასოცირებული პროფესორი
24.	კვლევის მეთოდები ბიზნესში	ვალერი მოსიაშვილი	პროფესორი
		გიორგი მამნიაშვილი	ასოცირებული პროფესორი
25.	მომხმარებლებთან ურთიერთობის მენეჯმენტი	ლევან ლაზვიაშვილი	მოწვეული ლექტორი
26.	ლიდერობა	დავით ჩახვაშვილი	პროფესორი
		ნინო დიდიშვილი	ასოცირებული პროფესორი
27.	მმართველობითი აღრიცხვა	ნელი სესაძე	ასოცირებული პროფესორი
		ლია პიტურიშვილი	ასისტენტ-პროფესორი

		ხათუნა ხარხელაური	მოწვეული ლექტორი
28.	საერთაშორისო მენეჯმენტი	ნინო დიდიშვილი	ასოცირებული პროფესორი
		მანანა ალფაიძე	მოწვეული ლექტორი
29.	ხარისხის მენეჯმენტი	ნინელი თევდორაშვილი	ასოცირებული პროფესორი
		იზაბელა ფერიშვილი	მოწვეული ლექტორი
30.	საბანკო საქმის საფუძვლები	ვალერი მოსიაშვილი	პროფესორი
		დავით ასლანიშვილი	მოწვეული ლექტორი
31.	საერთაშორისო ბიზნესი და ექსპორტის მენეჯმენტი	ბონდო გასვიანი	ასოცირებული პროფესორი
32.	ელექტრონული კომერცია	გურამ შეროზია	მოწვეული ლექტორი
		ლევან დუნდუა	მოწვეული ლექტორი
33.	ინფორმაციული ტექნოლოგიები მენეჯმენტში	მზია კვიციანი	ასისტენტ-პროფესორი
		ლილი პეტრიაშვილი	მოწვეული ლექტორი
34.	თანამედროვე საოფისე პროგრამები	დემეტრი მასხარაშვილი	პროფესორი
		ნანა ნოზაძე	ასოცირებული პროფესორი
		მზია კვიციანი	ასისტენტ-პროფესორი
35.	აკადემიური წერა	ქეთევან ნიჭარაძე	ასოცირებული პროფესორი
		მაია სულთანაშვილი	მოწვეული ლექტორი
		ციცინო ბუკია	მოწვეული ლექტორი
36.	ინგლისური ენა	მარინე დონგუზაშვილი	მოწვეული ლექტორი



		ნინო ჩიტეშვილი	მოწვეული ლექტორი
		ნინო ჩიქოვანი	მოწვეული ლექტორი
		მარიამ ხაჭომია	მოწვეული ლექტორი
		ქეთევან ტაბუცაძე	მოწვეული ლექტორი
		ნინო მაღრაძე	მოწვეული ლექტორი
37.	რუსული ენა	ელმირა ზოგრანიანი	მოწვეული ლექტორი
		ჟანეტა ვარძელაშვილი	მოწვეული ლექტორი
38.	გერმანული ენა	ია ბურდული	მოწვეული ლექტორი
39.	ფრანგული ენა	ნინო გოგიჩაიშვილი	მოწვეული ლექტორი

აკადემიური/მოწვეული პერსონალი

N	სახელი და გვარი	სტატუსი	აფილირება
1.	ვალერი მოსიაშვილი	პროფესორი	აფილირებული
2.	დავით ჩახვაშვილი	პროფესორი	აფილირებული
3.	გულნარა ჯანელიძე	პროფესორი	-
4.	დimitრი მასხარაშვილი	პროფესორი	-
5.	რუსუდან ბერიაშვილი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
6.	ლელა ბიჭიაშვილი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
7.	ერეკლე ზარანდია	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
8.	ლალი ქელბაქიანი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
9.	თამარ ბიჭიკაშვილი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
10.	ნინო დიდიშვილი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
11.	ოთარ აბესაძე	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
12.	ნინო სამჭკუაშვილი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
13.	ნონა ქავთარაძე	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
14.	ნელი სესაძე	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
15.	პაატა შურღაია	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
16.	ბონდო გასვიანი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
17.	ნინელი თევდორაშვილი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
18.	ქეთევან ნიჟარაძე	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული

19.	ნანა ნოზაძე	ასოცირებული პროფესორი	-
20.	იოსებ ფოჩხუა	ასოცირებული პროფესორი	-
21.	ნაირა ღვედაშვილი	ასოცირებული პროფესორი	-
22.	ბესიკი ტაბატაძე	ასოცირებული პროფესორი	-
	გიორგი მამნიაშვილი	ასოცირებული პროფესორი	-
23.	მადონა კანტიძე	ასისტენტ-პროფესორი	აფილირებული
24.	თათია ბილისეიშვილი	ასისტენტ პროფესორი	აფილირებული
25.	ლია პიტურიშვილი	ასისტენტ-პროფესორი	აფილირებული
26.	მზია კვიციანი	ასისტენტ-პროფესორი	-
27.	ალექსანდრე ჩახვაძე	ასისტენტ-პროფესორი	-
28.	ლილი პეტრიაშვილი	მოწვეული ლექტორი	-
29.	გურამ შეროზია	მოწვეული ლექტორი	-
30.	ლევან დუნდუა	მოწვეული ლექტორი	-
31.	იზაბელა ფერიშვილი	მოწვეული ლექტორი	-
32.	დავით ასლანიშვილი	მოწვეული ლექტორი	-
33.	მაია სულთანაშვილი	მოწვეული ლექტორი	-
34.	ციცინო ბუკია	მოწვეული ლექტორი	-
35.	მარინე დონგუზაშვილი	მოწვეული ლექტორი	-
36.	ნინო ჩიტიშვილი	მოწვეული ლექტორი	-
37.	ნინო ჩიქოვანი	მოწვეული ლექტორი	-

38.	მარიამ ხაყოშია	მოწვეული ლექტორი	-
39.	ქეთევან ტაბუცაძე	მოწვეული ლექტორი	-
40.	ნინო მალრაძე	მოწვეული ლექტორი	-
41.	ელმირა ზოგრანიანი	მოწვეული ლექტორი	-
42.	ჟანეტა ვარძელაშვილი	მოწვეული ლექტორი	-
43.	ია ბურდული	მოწვეული ლექტორი	-
44.	ნინო გოგიჩაიშვილი	მოწვეული ლექტორი	-
45.	მანანა ალფაიძე	მოწვეული ლექტორი	-
46.	ხათუნა ხარხელაური	მოწვეული ლექტორი	-
47.	ლევან ლაზვიაშვილი	მოწვეული ლექტორი	-
48.	მეგი ბარათაშვილი	მოწვეული ლექტორი	-
49.	სერგო გელაშვილი	მოწვეული ლექტორი	-
50.	თეიმურაზ კალანდია	მოწვეული ლექტორი	-
51.	ლიანა აფაქიძე	მოწვეული ლექტორი	-
52.	ნინო ბარქაია	მოწვეული ლექტორი	-
53.	ნატო ჭითანავა	მოწვეული ლექტორი	-
54.	სალომე ჭელიძე	მოწვეული ლექტორი	-
55.	თორნიკე ებანოიძე	მოწვეული ლექტორი	-
56.	ქეთევან მაჩაიძე	მოწვეული ლექტორი	-
57.	თემურ ჩილაჩავა	მოწვეული ლექტორი	-

58.	ანა ჩხიკვაძე,	მოწვეული ლექტორი	-
59.	ნინო მაზიაშვილი	მოწვეული ლექტორი	-
60.	ნაზი ჭიკაძე	მოწვეული ლექტორი	-